წ. I 1915 წ. შაბათი 25 აპრილი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ [illegible]
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 65 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 65

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მიირჩევნის თრსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

„სამშობლო“-ს რედაქცია აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 26 აპრილს, დილის 12 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლათ გადაცვალებულის ხალხოსნურ მწერლის და ბელეტრისტის

**ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი ს**

სულის მოსახსენებლათ.

---

ქ. შორ. წ. კ. გამავრ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობა აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 26 აპრილს, დილის 12 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ჩვენი დაუვიწყარი ბელეტრისტის

**ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი ს**

სულის მოსახსენებლათ.

2—1

---

ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი და მასწავლებელთა კორპორაცია აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 26 აპრილს, დილის 12 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ

**ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი ს**

სულის მოსახსენებლათ.

2—1

---

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 21 აპრილს გარდაიცვალა

**მარიამ (მარუსია) კლიმენტი არხიპოვის ასული რ ა ტ ი ა ნ ი ს ა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი გიორგი (გრიშა) გარსევანის ძე რატიანი, დედა—ივლიტე ტიმოთე ქუთათელაძის ასული, მამა—კლიმენტი ივანეს ძე, და—ლიუსია, ძმა—სამსონი, დედამთილი—თეკლე რატიანისა, მულები—ნინო და მარიამი და მაზლები—მიშა და შალვა რატიანები.

პანაშვიდი ყოველდღე სოფ. ტყიბულში, მშობლების ბინაზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—1—178

---

ანა არქიფოს ასული იოსელიანისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 24 აპრილს დილის 9 საათზე უეცრათ გადაიცვალა მისი დაუვიწყარი და ძვირფასი მეუღლე

**ომაინ იესეს ძე იოსელიანი.**

პანაშვიდები დანიშნულია ყოველდღე საღამოს 6 სათზე, საკუთარ სახლში, გენერლის ქუჩაზე დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ.

---

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი უ მ ი“.

ხუთშაბათიდან, 23 აპრილიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი, კინემატოგრაფიის შედევრი!

**ომი და მშვიდობიანობა**

(ნატაშა როსტოვისა).

ხუთ ნაწილათ ლ. ტოლსტოის ცნობილი რომანიდან. უმთავრეს როლებს ასრულებენ იმპერატორის სცენის არტისტები: ვ. კარალლი, მ. რეიზენი, ნ. რუტკოვსკაია, ვ. პოლონსკი. მოსკოვის თეატრის არტისტები: ი. მოზჟუხინი, პ. ლოპუხინი და ა. ხერუვიმოვი. სურათი დიდგმულია პ. ჩარდინინის რეჟისორობით.

ფასები ცოტათი მომატებულია

---

ქუთაისის თეატრი.

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 25 აპრილს,

ალ. ყალაბეგიშვილის საბენეფისოთ, ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ქუთაისის სცენაზე გიორგი ერისთავის ისტ. პიესა

**ყვარყვარე ათაბეგი**

დრამა 5 მოქ. მოქმედება სწარმოებს მეთორმეტე საუკუნეში.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი გ. ურუშაძე.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენათ ახალი პიესა შოთა დადიანისა „განწირულნი“, შალვა სანებლიძისა „ცხოვრების ტალღებში“.

---

დაიბეჭდა და იყიდება კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

---

**ს/ს გოკიელოვის—შ-ბი**

ქ უ თ ა ი ს შ ი

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ გაზეთებში გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ

**ხ. ხრისტოდულიდის**

თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი“, აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი“ რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის“ და ს/ს გოკიელოვის შ—ბის“, აქვე დასმულია ლუქით ბეჭედი, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

**თესლის გაყიდვა გძელდება.**

---

**კაბინეთი** მასსაჟის და სამკურნალო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა მ. ტ. ბალანჩივაძისა ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი ორთქლის ვანა, რომელიც სპობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. აგრეთვე ვუცრი ყვავილს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი მორიგებით. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

კბილის ექიმები

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**ექიმი** გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**ექიმი** მ. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დილით 2—3, საღ 7—8. თ.

---

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**გამოცდილ სტუდენტთა ამხანაგობა**

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის ახლოს. თ. უ.

---

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**ლონდონი.** 22 აპრილი. გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩრდილო ზღვაში დაღუპეს ხუთი ტრალერი: პროგრესი, რეგბი, კოკი და ბობუაიტი.

**ათინა.** 22 აპრილი. მიტილენიდან და ტენედოსიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეები ნახევარ კუნძულის სხვადასხვა ადგილებში ერთდროს მოქმედებენ, რომ შეერთდენ. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მოკავშირეებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს რამდენიმე სტრატეგიული ადგილი, თუმცა დიდი ზარალი ნახეს. გუშინ რამდენიმე ათასი ტყვე ოსმალო ტენედოსზე მოიყვანეს. დარდანელის კონტრფორტებზე იერიში გრძელდება, ინგლისის ჰაეროპლანმა ააფეთქა პანდერმეს დიდი ხიდი.

**ათინა.** სტამბოლიდან მოსულები იუწყებიან, რომ ბოსფორის ალყის დროს ნაღმები ბიუკდერში, რუსეთის საელჩოს წინ, გასქდენ და შენობა დააზიანეს. ფრანგების წყალქვეშა ნავმა ნაღმი ესროლა „ბარბაროსა გაირედდინს“. ჯავშნოსანი დაზიანდა და თავთხელში შეიჭრა ნაგარის ნაპირთან. „გებენის“ შეკეთება მალე დასრულდება და გემი მალე ზღვაში გამოვა.

**პარიზი.** 22 აპრილი. ბელგიაში დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა. საღამოს ჩვენ გერმანელების ერთი სანგარი დავიკავეთ; ლიზერნსა და გეტზანს შუა ჩვენ წინ წავიწიეთ. მტერს აქ იერიში არ მოუტანია. შამპანში პერტრის დასავლეთით გერმანელთა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა, აგრეთვე არგონებში ფურდეპარისთან. ცხარე შეტაკება მოხდა მაასა და მოზელს შუა, დილის ოთხ საათზე მტერმა იერიში მოიტანა ეპარჟთან. გერმანელები აქ დამარცხდენ. ჩვენმა ცეცხლმა მტერი შეაჩერა. გერმანელების დანაკლისი დიდია, ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვე. იმავ დილას გერმანელთა სამმა პოლკმა იერიში მოიტანა ჩვენ პოზიციებზე ა ი ა ტყე-

# დღეს რა მოხდა.

ოლთისის გზით რუსები წინ მიიწევენ. დილმანში დამარცხებული ოსმალოთა კორპუსი მთებს შეეხიზნა და იქ გამაგრდა. დარდანელში ბრძოლა წინანდელი სისასტიკით გრძელდება. მოკავშირეებმა თუმცა დიდი ზარალი ნახეს, მაგრამ რამდენიმე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს.

დასავლეთ ასპარეზზე გერმანელებმა აიღეს „60“ მეტრის სიმაღლე, მაგრამ იმავე დღეს ადგილის ერთი ნაწილი დაკარგეს.

დღეს იაპონია ჩინეთს ულტიმატუმს წარუდგენს. ვადა 48 საათია.

ში, აღმოსავლეთით. მათ დაიჭირეს ჩვენი პოზიციის პირველი ხაზი. კონტრ იერიშით ჩვენ უკანვე დავიბრუნეთ კონცხის ნახევარი ნაწილი, საღამოს ჩვენ იერიში მივიტანეთ მეორე ნახევრის დასაბრუნებლათ. ჯერ ბრძოლა არ გათავებულა. მონმარის ტყეში ჩვენ ავიღეთ მტრის პოზიციები ფლირეი—ესსეის გზის მახლობლათ. გერმანელებმა სამჯერ მოიტანეს იერიში ამ ადგილის დასაბრუნებლათ, მაგრამ უნაყოფოთ. ელზასში, ფეხტის მარჯვენა ნაპირზე, ჩვენ წინ მივიწევთ. ჩვენ დავიჭირეთ 830 მეტ. სიმაღლე და წინ წავიწიეთ სილაკ—ვერვაზონის აღმოსავლეთით. ჩვენ წინ წავიწიეთ შტაინბრუკისკენ 900 მეტრით მეტცერალიდგან.

**ლონდონი.** 22 აპრილი. ფრენჩი იუწყება: მდგომარეობა არ შეცვლილა. ბრძოლა „60“ მეტრ. სიმაღლის ახლო გრძელდება. გერმანელები მოვიდენ სიმაღლის ფერდობებამდე. ისინი მახრჩობელა გაზებს ხმარობენ. იპრის აღმოსავლეთით გერმანელებმა მოიტანეს იერიში, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ და ჩვენმა არტილერიამ მტერს დიდი ზიანი მიაყენა. ჟივანშის მახლობლათ გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს. ოთხი ჯარისკაცი მოკვდა მახრჩობელა გაზით. სხვა ადგილებში სიწყნარეა.

**პეტროგრადი.** 23 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის გზით სროლა გრძელდება. ოლთისის გზით ჩვენ წინ მივიწევთ ოსმალონი უკან იხევენ. დილმანის რაიონში ოსმალონი დამარცხების შემდეგ, მთებში შეიხიზნენ, აქ მათ მაშველი ჯარები მიიღეს და მაგრდებიან.

მთავარ სარდლის შტაბისაგან. 22 აპრილს ლიბავასთან სროლა იყო გერმანელთა ნაღმოსნების საწინააღმდეგოთ. მიტავის სამხრეთით და სოფელ ბეისაგოლასთან შეტაკებები მოხდა. ორჟიცას მარჯვენა ნაპირზე, 21 აპრილს, საღამოს, ჩვენ მტრის იერიში მოვიგერიეთ. მლავის რკინის გზის აღმოსავლეთით ჩვენ დავიჭირეთ პანიანის ფოლვარკი. ექვსი საათ. განმავლობაში მტერს აქ უშედეგოთ კონტრ იერიშები მოქონდა. ფოლვარკის წინ გერმანელებმა დასტოვეს ათასამდე მოკლული. ვისლის მარცხენა ნაპირზე სიწყნარეა. გალიციაში ვისლასა და კარპატებში, ბრძოლა წინანდელი სიმკაცრით გრძელდება. დუნაეცის მარჯვენა ნაპირზე მტრის მთელი ყურადღება ბიეჩიასლაზეა მიპყრობილი. მძიმე არტილერიის ხმარების გამო ჩვენ ჯარს საგრძნობი დანაკლისი ადგება. მაგრამ მტერსაც არა ნაკლები ზარალი მოსდის.

სტრიის გზით 21 აპრილს ჩვენ წინ წავიწიეთ მაკუვკას ფერდობებზე. ჩვენ აქ 2000-მდე ჯარისკაცი და 30 აფიცერი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ლომნიცის სათავეში 22 აპრილს ჩვენ წინ წავიწიეთ.

**პარიზი.** 23 აპრილი. იპრის ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერიეთ გერმანელების იერიში სტეენსტრეტთან. იპრის სამხრეთით ვარტელენის მახლობლათ გერმანელებმა იერიში მოიტანეს „60“ მეტ. სიმაღლეზე, რომელიც გასულ თვეში ინგლისელებმა დაიკავეს. გერმანელებმა შესძლეს ამ პოზიციის აღება, მაგრამ კონტრ-იერიშით ჩვენ უკანვე დავიბრუნეთ პოზიციის ერთი ნაწილი. არის ტყეში ჩვენ იერიში მივიტანეთ და ცოტათი წინ წავიწიეთ. ღამით მტერმა იერიში მოიტანა მაღლობზე სილა-ვერვაზონის აღმოსავლეთით. მტერმა ეს მაღლობი დაიჭირა. დანარჩენი რაიონი ჩვენ შევინარჩუნეთ და გავამაგრეთ.

**პეტროგრადი.** 23 აპრილი. სამხედრო უწყების მიმოხილვა. სუვალკის აღმოსავლეთით ჩვენ წინ მივიწევთ. გერმანელები მედგარ წინააღმდეგობას გვიწევენ. ღამით ხელ-ჩართული ბრძოლის დროს ჩვენმა ჯარმა დაიკავა ლიპოვო და ტაენკო ავგუსტოვის სამხრეთით. ჩვენ გერმანელთა ერთი როტა ერთი აფიცრითა და 7 უნტერ-აფიცრით დავატყვევეთ. ლიუბოვას მახლობლათ მტრის ერთმა ბატალიონმა იერიში მოიტანა ჩვენს ბანაკზე. ოსოვეცის ფრონტზე სროლაა. მტერმა იერიში მოიტანა სოსნიცკის პოზიციებზე, მაგრამ იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. ბზურსა და ვისლის შუა თვალსაჩინო შეტაკება არ მომხდარა. მტერმა უშედეგოთ მოიტანა იერიში ზ-ლესის — გრუზოვატკის მახლობლათ. ბრომიერჟის მახლობლათ ჩვენმა არტილერიამ მტრის ერთი სამზვერავი ადგილი გაანადგურა. პლონსკში გერმანელთა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარა, დაიჭირა რამდენიმე გლეხი და ერთი ქალი მცირეწლოვანი ბავშვებით. ვისლის მარცხენა ნაპირზე სროლაა.

### ჩინეთი და იაპონია.

**ტოკიო.** 22 აპრილი. მინისტრთა საბჭოს სხდომები გრძელდება. გენროსთან თანხმობა ჯერ არ ხერხდება. ამის გამო ულტიმატუმის გაგზავნა გვიანდება. კოკუმინგუკამმა და კოკუმინგაიკოდამენმა მთავრობას წარუდგინეს რეზოლიუცია, სადაც მთავრობის განზრახვის სისრულეში მოყვანას მოითხოვენ და დასძენენ გენროს პროტესტს ყურადღება არ მიაქციონ.

**პეკინი.** 23 აპრილი. რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით მოხდა კრება. გადასწყდა იაპონიას დაუთმონ. პრესა მოითხოვს მთავრობის მედგარ პოლიტიკას.

**ტოკიო.** 23 აპრილი. გამოიცა უკაზი კვანტუნის ოლქში და სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის რაიონში სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ. სასახლეში იმპერატორის თავმჯდომარეობით მოხდა კრება. დაესწრნენ: ფელდმარშლები, მინისტრები და გენროს წევრები.

**ტოკიო.** 23 აპრილი. იმპერატორმა დაამტკიცა ულტიმატუმის პროექტი.

**ტოკიო.** 23 აპრილი. პეკინის იაპონიის ელჩი ხვალ ჩინეთის მთავრობას წარუდგენს იაპონიის ულტიმატუმს. პასუხის ვადათ 48 საათს მისცემს. ომის მოლოდინის გამო ჩინეთიდან და სამხრეთ მანჯურიიდან იაპონელები შინ ბრუნდებიან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### იაპონია და ევროპა.

გაზეთ „იამატო“ დაჟინებით მოითხოვს ევროპაში ჯარის გაგზავნას იმ პირობით, რომ საბოლოოდ გადაწყდე იაპონიის სამთა კავშირთან შეთანხმება. მეორე გაზეთი „ასაჰი“ ამბობს: ომის დაწყებიდანვე იაპონიასა და რუსეთს შორის ფაქტიური კავშირი უკვე არსებობს, მხოლოდ საჭიროა მისი ფორმალურად დასრულებაო.

### იტალია და სამთა კავშირი.

„ვეჩერნეე ვრემია“-ს სიტყვით, 13 აპრილს სამთა კავშირსა და იტალიის შორის შეთანხმება საბოლოოდ გადასწყდა და ათი მუხლისგან შემდგარი პირობაც დაიწერა.

დიპლომატიურ წრეებში კი „ვეჩერნეე ვრემია“-ს სიტყვები ცოტა აჩქარებულად მიაჩნიათ. მათი აზრით, თუმცა ჯერ შეთანხმების ქაღალდი დაწერილი არ არის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ იტალია არავითარი საშუალებით არ მიემხრობა გერმანია-ავსტრიას და ახლო მომავალში უსათუოდ შეუთანხმდება სამთა კავშირსაო.

### უნგრეთის პარლამენტი ომზე.

უნგრეთის პარლამენტში ცხარე კამათით დასრულდა სახელმწიფოს მცხოვრებთა ჯარში გაწვევის კანონპროექტი. ამ კანონპროექტის ძალით ჯარში გაიწვევენ ყველას 18 წლიდან 50 წლამდის, მიუხედავად ყოველგვარი შეღავათისა. განთავისუფლდებიან მხოლოდ ავადმყოფნი და სუსტნი.

### ცინდაო.

ხმები, რომ იაპონიას სურს ცინდაო ჩინეთს გადასცეს, თანდათან მართლდება. ცინდაოზე იაპონია გააშენებს კომერციულ ნავსადგურს და შეინარჩუნებს მხოლოდ ფოსტას, ტელეგრამას და დამოქნას.

### გერმანელთა მეცნიერნი ჩვენში.

სწავლა-განათლების მინისტრმა, იგნატიევმა მინისტრთა საბჭოში სამეცნიერო აკადემიიდან გერმანელ მეცნიერების დათხოვნის შესახებ ვრცელი მოხსენება შეიტანა. თავის მოხსენებასთან ერთად მინისტრმა სამეცნიერო აკადემიის დადგენილების ჟურნალიც წარადგინა.

### ვილჰელმის დეპეშა.

„ადევერულის“-ს სიტყვით, ვილჰელმმა საბერძნეთის დედოფალს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: მე დარწმუნებული ვარ საბოლოოდ გამარჯვებაზე. ვაი იმათ, რომელნიც ჩემს წინააღმდეგ მახვილს ასწევენ!“

### გერმანელთა უმავთულო ტელეფონი.

გერმანელებს ჯარში აქვთ სამი სახის უმავთულო ტელეფონი. პირველი—ციხის, რომელსაც შეუძლია მოქმედება 620 ვერსის მანძილზე; შტაბის—120 ვერსის და მინდვრის—45 ვერსის მანძილზე. მინდვრის სადგურის მოწყობისთვის საჭიროა მხოლოდ 15 წუთი.

### შვეიცარია და ავსტრია.

8 აპრილიდან ავსტრიის მთავრობამ შვეიცარიასთან შესწყვიტა საფოსტო მიმოსვლა: წერილები და ჟურნალ-გაზეთები არ იგზავნება.

### მეომართა რიცხვი.

უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვით, ყველა მეომარ სახელმწიფოს ომში გაწვეული ყავთ 26 მილიონამდი ჯარის კაცი. ომის ასპარეზზე პირისპირ დგანან 6—7 მილიონი ჯარისკაცი. ბრძოლის ველი ერთ ფრონტზე გაჭიმულია 850 ვერსის მანძილამდის და მეორეზე კი დახლოვებით 1500 ვერსამდე.

### დარდანელის ირგვლივ.

კონსტანტინეპოლიდან [illegible] დარდანელის გარშემო სამთაკავშირის ახალმა მოქმედებამ მართველთა მაღალ წრეებში დიდი აურზაური გამოიწვია, მთავრობამ დააკავა სომეხთა პატრიარქის პროტოსინკელი და 400 სომეხი. მათ ბრალსა სდებენ მთავრობის საწინააღმდეგოდ ხალხის აჯანყებაში.

### რუზველტის აზრი ზავზე.

ამერიკის შეერთებულ შტატების ყოფილ პრეზიდენტის რუზველტის აზრით, ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია, ვიდრე გერმანელები არ განიდევნებიან ბელგია და საფრანგეთიდან და არ გადაწყდება ელზას-ლოტარინგიის საკითხი. „ზავი, განაგრძობს რუზველტი, რომელიც გაადიდებს მილიტარიზმს, ვერ მოიტანს სარგებლობას. ზავი, დამყარებული საწყალი ხალხის განადგურებაზე, ისეთივე სასტიკია, როგორც საშინელი ომი“-ო.

### პეპინო გარიბალდი.

„რუსკოე სლოვო“-ს კოპენჰაგენიდან ატყობინებენ: იტალიის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევის სურვილმა გერმანიის მაღალ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამის შესახებ პეპინო გარიბალდიმ სთქვა:

„ავსტრო-გერმანელები რომში უკანასკნელ ხერხს ეწევიან, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწევენ. მათი დამარცხების მომენტი მოახლოვებულია.“

### ა. ფ. კერენსკის საქმე.

ქ. ეკატერინოდარიდან 3 ვერსის მანძილზე მთავრობამ ვითომ უკანონო კრება აღმოაჩინა, სადაც მონაწილეობა ბრალდებოდა ა. ფ. კერენსკისაც. 18 აპრილს სენატმა გაარჩია საქმე და კერენსკის 5 მანეთით დაჯარიმება გადაუწყვიტა.

### ბოსფორი.

უკანასკნელი სროლის დროს დაზარალდა ათი სიმაგრე. ეს სიმაგრეები ფრონტებზე დაშორებულია და შეადგენს ბოსფორის სიმაგრეების მესამე რიგს. პირველი სიმაგრე მადჟარ ბურნუ სრუტეს დაშორებულია ათი ვერსით. ყუმბარები ვარდებოდენ მადჟარ ბურნუს იქით ვერსნახევარზე. ფლოტი მიუახლოვდა ბოსფორს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ცხარე სროლის შემდეგ ოსმალოთა ბატარეები ჩააჩუმა. ეტყობა ოსმალოებს ზარბაზნები დარდანელის სიმაგრეებისკენ გაუწევიათ. ფლოტს არავითარი ზარალი არ მოსვლია.

## საჭიროა განვახორციელოთ

**1914 წლ. პირველი ივლისის კანონი.**

(დასასრული იხ. „სამშ.“ № 64.)

თუ გინდა მომავალში მაინც განვთავისუფლდეთ ამ დიდმნიშვნელოვან ნაკლთაგან (ამის არ ნდომა კი უარყოფა იქნებოდა თავისთავისა), აუცილებლად საჭიროა ჩვენი შვილების სწავლა-განათლების საქმე მოწყობილ იქნას სამშობლო ენაზე. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ სკოლა სამშობლო ენისა მისცემს ჩვენ ახალთაობას ბევრად უფრო მეტს ცოდნას, ვიდრე ახლა ეძლევა რუსულს ენაზე, და უფრო საფუძვლიანს, უფრო მტკიცეს. თვით რუსული ენისა და რუსული ლიტერატურის შესწავლა მაშინ კიდევ უფრო მიმზიდველი და უფრო ნაყოფიერი იქნება ქართველ მოსწავლეთათვის, ვინაიდან ფსიხიურ კანონებთან შეთანხმებული სწავლება და თავისუფალი ზრდა სულისა გამოიწვევს მათში მეტს მისწრაფებას საზოგადო ცოდნისადმი და უფრო ენერგიულად აამუშავებს მათ. ბუნებრივი წყურვილი ცოდნისა, რომელიც თან ახლავს სწორ პედაგოგიურ საფუძვლებზე დამყარებულს სწავლას, საუკეთესო თავდები იქნება მისი, რომ რუსულ ენას კარგად შეისწავლიან. გარდა ამ მოსაზრებისა, რომელიც წარმოადგენს ზოგად პირობას სწავლის უკეთესად დაყენებისათვის, განახლებულს სკოლაში ახალი კანონის მოთხოვნილებასთან ერთად ხმარებულ უნდა იქნან სპეციალური ღონისძიებანიც რუსული ენის შეთვისებისათვის იმ ზომამდის, რომ მოსწავლეთ კანონიერის ენით შეეძლოსთ თავის აზრის სრულად გარდაცემა სხვისათვის როგორც ზეპირად, ისე წერილობითაც და გიმნაზიის კურსის დასრულების შემდეგ შესძლონ წარმატებით სწავლა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

დამადასტურებელი საბუთი მისი, რომ შესაძლებელია სასიკეთოდ განხორციელდეს ახალი კანონი, შეგვიძლიან ვუჩვენოთ თვით რუსეთის ცხოვრებაში, სადაც არა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ რუსეთის ქვეშევრდომ გერმანელებს, რომელთაც სამშობლო ენაზე ჰქონდათ გავლილი გიმნაზიის კურსი, საკმაო მომზადება გამოუჩენიათ და წარმატებით განუგრძვიათ სწავლა რუსეთის მაღალ სასწავლებლებში. ამგვარსავე საბუთს ვხვდავთ ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაშიაც: ზოგიერთნი მათგანნი სწავლის დამთავრების შემდგომ რუსულს ენაზე აქაურ საშუალო სასწავლებელში, მიემგზავრებიან ხოლმე საზღვარგარედ და ერთის წლის მუშაობის შემდგომ ფრანგულისა ან გერმანულის შესასწავლად, რომელთაც ძალიან მცირე ცოდნა გაჰყავთ აქედან, შედიან იქ მაღალ სასწვლებლებში და წარმატებით სწავლობენ. ჩემის აზრით ამგვარს სამსახურს გაგვიწევს ჩვენ და კიდევ უკეთესსაც ქართული გიმნაზია, ქართულს ენაზე აგებული. მის მოწაფეთ შეუდარებლად მეტი ცოდნა ექნებათ რუსულის ენისა, ვიდრე იმ ქართველ ახალგაზრდათ ფრანგულისა და გერმანულისა, რომელნიც რუსეთიდან მიდიან საზღვარგარეთის მაღალ სასწავლებლებში.

მოსალოდნელი წარმატება რუსულის ენის ცოდნისა მიხწეულ იქნება რამდენსამე სხვა და სხვა ღონისძიებით: ა) მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილებიდან (სასწავლო წლის მეორე ნახევარში) ვიდრე გიმნაზიის რვა კლასის დასრულებამდის ყოველს კლასში უნდა იქნეს საკმაო რიცხვი რუსული ენის გაკვეთილებისა; ბ) გიმნაზიამ უნდა იქონიოს კარგი ბიბლიოთეკა, რომელშიაც მოიპოვებოდეს ყველა წარჩინებულ რუს მწერალთა თხზულებანი და ყრმათა საკითხავი წიგნები იმდენი, რომ ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე თხზულება ეძლეოდეს წასაკითხად არა ერთსა და ორს მოწაფეს, არამედ მრავალთა; გ) უნდა იმართებოდეს მასწავლებელთა ხელმძღვანელობის ქვეშ კოლექტიური კითხვა წიგნებისა გაკვეთილებს გარეშე; დ) თვით მოსწავლეებსაც უნდა ევალებოდესთ წიგნების კითხვა შინ იმ პირობით, რომ წაკითხული შეამოწმოს მასწავლებელმა, მოსთხოვოს ხოლმე მათ ანგარიში, რა წაიკითხეს და რა გაიგეს; ე) თვეში ერთხელ მაინც უნდა იმართებოდეს გიმნაზიაში საშინაო ლიტერატურული საღამო ან დილა, (მოწაფეთა, მასწავლებელთა, გამგე კომიტეტის და მშობელთა წრის საბჭოს წევრთა თანადასწრებით), სადაც მოსწავლეები გვიამბობდენ ხოლმე რუსულად, ზეპირ ან წერილობით, შინაარსს მათ მიერ წაკითხულისას, ახასიათებდენ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გმირებს და სხვ.; ვ) ჭაბუკთათვის მიმზიდველსა და ენის ვარჯიშობისათვის ნაყოფიერს მუშაობას წარმოადგენს გასამართლება ლიტერატურულ ნაწარმოებთა გმირებისა და ამგვარ მუშაობასაც საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს სხვა ღონისძიებათა შორის; ზ) ნება უნდა ეძლეოდეს მოწაფეთ ხელნაწერი ჟურნალის გამოცემისა მასწავლებელთა მეთვალყურეობის ქვეშ; თ) შემოღებულ უნდა იქმნას სწავლება ხელსაქმობის ზოგიერთ დარგებისა და ამ დარგებში მუშაობის დროს მოსწავლეებმა უნდა ივარჯიშონ რუსულს ლაპარაკში და სხვა.

ქართული ენა, ერთი უმთავრეს საგანთაგანი გიმნაზიის კურსისა, უზრუნველყოფილი იქნება მით, რომ მას ჯეროვანი ადგილი მიეცემა გაკვეთილების რაოდენობით, სწავლება საგნებისა ქართულს ენაზე იქნება და გარდა ამისა მის საფუძვლიანად შესწავლისათვის ხმარებულ იქნება იმგვარივე ზომები, რუსულის ენისათვის რომ ჩამოვთვალეთ.

რადგანაც საგნების სწავლება სამშობლო ენაზე იქნება, რაიცა ბევრად გააადვილებს მოსწავლეთ სიძნელეს სწავლისას უეჭველია, მთელი გიმნაზიის კურსი თავისუფლად იქნება გავლილი შვიდს კლასში (მოსამზადებელს კლასს არ ვღებულობ სათვალავში). მაშასადამე, მერვე კლასის დანიშნულება იქნება მხოლოდ განმეორება ყველა საგნებისა რუსულს ენაზე. აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ყოველს საგანს, თითოეულს მეცნიერებას თავისი სპეციალური ტერმინები აქვს, რომელთა უცოდინარობა რამდენადმე დააბრკოლებს საგნების გამეორებას მერვე კლასში, მაგრამ ადვილად შესაძლებელია ეს ტერმინები გადაეცეს მოსწავლეთ თვით საგნების სწავლების დროს დაბლა კლასებში ამ გვარად: მას შემდგომ, როდესაც მოწაფეები ქართულს ენაზე შეითვისებენ გაკვეთილს შესაფერის ტერმინოლოგიითა და დასკვნით, მასწავლებელს შეუძლიან გარდასცეს მათ, რომ რუსულად ესა და ეს ასე თითქმის, ამ ფორმულითო; მაშასადამე, გარდაეცემის მათ მხოლოდ დასკვნა, მხოლოდ კანონი მათემატიკური, ბუნების-მეტყველური, ფიზიკური და სხვ. ეს ცოტა დროს მოითხოვს და არას ავნებს ქართულს ენაზე სწავლებას. ამ გვარად ტერმინები ეცოდინებათ მოწაფეებს რუსულადაც და აღარ გაუძნელდებათ რუსულს ენაზე გადმოცემა ნასწავლისა, როდესაც მას საჭიროება მოთხოვს.

საქმეს რომ შევუდგებით და გაიმართება მუშაობა, მაშინ მალე, არა უგვიანეს სამის წლისა, საკმაოდ გამოირკვევა, რამდენად შესაძლებელია გამართლდეს იმედი, რომელსაც ვამყარებთ მერვე კლასზე. თუ დავინახავთ, რომ საჭიროა, შესაძლებელი იქნება კიდევ უფრო გავაძლიეროთ ღონისძიებანი—1 წლით გავადიდოთ გიმნაზიის კურსი და გავხადოთ იგი ცხრაწლიანად. მაშინ შეგვეძლება ორი წელიწადი მოვახმაროთ რუსულ ენაზე საგნების განმეორებას. ზოგიერთნი რომ ფიქრობენ ამ ჟამად სწავლის წარმატებისათვის საჭიროა მოსამზადებელ კლასს მეორე განყოფილება მიემატოსო, ეს ჩემის აზრით გადაჭარბებულია. პირველი კლასისათვის რომ მომზადდეს ყმაწვილი, სრულიად საკმაოა ამისათვის სამი წელიწადი, და თუ საჭიროება მოითხოვს, უკეთესი იქნება ერთი წელიწადი მიემატოს არა მოსამზადებელ კლასს, არამედ გიმნაზიის კლასებს. მაშინ შესაძლებელი იქნება საგნების უფრო ზომიერად განაწილება კლასებზე და მოსწავლეთათვის ტვირთის შემსუბუქება, რომ ექვს-ექვს საათს არ ისხდნენ ხოლმე გაკვეთილებზე პირველსა და მეორე კლასში. ყოველს ეჭვსგარეშეა, ცხრაწლიანი გიმნაზია იმდენად მოამზადებს ჭაბუკთ, რომ იგინი თავისუფლად დაიჭერენ გამოცდას რუსულს ენაზე და საგნების ცოდნაც გაცილებით მეტი ექნებათ და უფრო მტკიცე, ვიდრე ახლა. გარდა ამისა სულიერი ძალები კურს დამთავრებულთა ისე როდილა იქნებიან მოქანცულნი და ბუნებრივს ენერგიას მოკლებულნი, როგორც ამ ჟამად.

რაიცა შეეხება სახელმძღვანელოებს სხვადასხვა საგნებისათვის, ზოგნი ახლაც მოიპოვებიან ქართულს ენაზე და ზოგნი უკვე იბეჭდებიან. ამ მხრით დაბრკოლება არავითარი მოელის ქართულს ენაზე სწავლებას, ვინაიდან ჩვენი ორი ქართული გიმნაზიის მასწავლებელნი და გიმნაზიებს გარეშე მყოფნი მცოდნე ქართველნი შესძლებენ რიგიან სახელმძღვანელოთა შედგენას. მაშასადამე, შესაძლებელია მიმდინარე წლის ენკენისთვიდან თამამად დავადგეთ ახალს გზას და დაწყებული მოსამზადებელი და პირველი კლასიდან თანდათანობით განვახორციელოთ ჩვენს ქართულ საშუალო სასწავლებლებში წარმოება სწავლა-აღზრდისა თანახმად ახალის კანონისა. („ს. ფ.“)

ალ. ჭაჭანაძე.

# პროვინციის ხელისმომწერთა საყურადღებოთ!

გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის კანტორა ერთხელ კიდევ მიმართავს პროვინციის თავის ხელისმომწერლებს და მოაგონებს, რომ ეს მეოთხე თვეა, რაც მათ გაზეთი ეგზავნებათ და ბევრ მათგანს გაზეთის დასაკვეთი ფული სრულიად არ წარმოუდგენია. კანტორა უმორჩილესათ სთხოვს ხელისმომწერლებს ამ წერილის დაბეჭდვის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში გამოგზავნონ გაზეთის დასაკვეთი ნახევარი წლის ხვედრი ფული და ამასთანავე აცნობონ კანტორას, თუ ვის რამდენი აქვს გამოგზავნილი „ახალი ივერიის“ სახელზე დეკემბერსა და იანვრის პირველ რიცხვებში გაზეთის დასაკვეთად.

თუ უკეთუ კანტორა აღნიშნულ დროში ან ფულს, ან ამ ცნობას არ მიიღებს, იძულებული იქნება ასეთ ხელისმომწერლებს გაზეთის გზავნა შეუწყვიტოს.

**სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა.** პოლიტიკურ წრეებში ხელახლათ აღიძრა საკითხი სათათბიროს მოწვევის გამო. პროგრესისტების პარტიის ლიდერს ეფრემოვს ამის შესახებ მოლაპარაკება ქონია სხვა ფრაქციების წარმომადგენლებთან, და როცა დარწმუნებულა მათ თანაგრძნობაში ოფიციალური წერილით მიუმართავს როძიანკოსთვის. ეფრემოვი სათათბიროს მოწვევას საჭიროთ სცნობს. როძიანკოს თავისი მხრით შესაფერი შუამდგომლობა აღუძრავს ამის შესახებ. თავრიდის სასახლეში ფიქრობენ, რომ თუ ამ შუამდგომლობამ გასჭრა, სახელმწიფო სათათბირო მაისში იქნება მოწვეული, თუმცა სერიოზულ იმედებს მასზე არ ამყარებენ.

**სავალდებულო დადგენილება.** კიევში გამოიცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც კიევის სამხედრო ოლქის რაიონში ყოველთვიურათ უნდა იკრიბებოდეს ცნობები, ნავთის, შეშის, ქვანახშირისა და ტორფის შესახებ. ვინც ამ ცნობებს არ მიაწვდის სათანადო მთავრობას, დამნაშავე სამი თვის ციხეში ჩაჯდომით დაისჯება.

**დახმარება.** ტვერის ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა იყიდოს 7 ათასი ფუთი ქვავი ღარიბ მცხოვრებთათვის დასარიგებლათ.

სამფთიაქო საქონელზე დროებით აწეული ნიხრი შემოღებული იქნება ევროპის რუსეთში 1 მაისიდან, სოლო აზიის რუსეთში კი—10 მაისიდან ორი თვის ვადით.

**გალიციელ მრეწველთა დელეგაცია.** გალიციელ მრეწველთა დელეგაცია ამ დღეებში პეტროგრადს ესტუმრა იმ ზომების გამოსარკვევათ, თუ როგორ დაუკავშირონ გალიციის მრეწველობა რუსეთისას. დელეგაციის წევრებზე მთავრობას ეჭვი შეეპარა და დაატუსაღა. მიღებული იყო ზომები მათი ვინაობისა და დოკუმენტების შემოწმების შესახებ. გამოირკვა, რომ დელეგატებს დოკუმენტები მიუღიათ გალიციის გენ.-გუბერნატორის ბობრინსკისაგან. დელეგატები გაანთავისუფლეს.

# რუსეთის ქრონიკა.

(პეტროგრ. დეპეშათა სააგენტო).

**პეტროგრადი. 21 აპრილი.** სახალხო განათლების მინისტრმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ დღემდი სახელმძღვანელოებს და მოწაფეთა საკითხავ წიგნებს ან თვით ავტორები და ან გამომცემლები გზავნიდენ ხოლმე ნება დასართავად სამინისტროს მეცნიერულ კომიტეტში. კომიტეტი არჩევდა იმ მატერიალს, რომელიც მას მისდიოდა დაინტერესებულ პირთაგან და ხშირათ უყურადღებოთ სტოვებდა სავაჭროთ გამოსულ ისეთ წიგნებს, რომელნიც ღირსებით არ ჩამოუვარდებოდენ გარჩეულ-მოწონებულ წიგნებს. ამ არანორმალური მოვლენის თავიდან ასაცილებლათ სახალხო განათლების მინისტრმა დაავალა სახალხო შკოლების დირექტორებსა და ინსპექტორებს თვალყური ადევნონ სასკოლო ლიტერატურას და ღირსეული სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები წარუდგინონ ხოლმე გასარჩევათ სამინისტროს დეპარტამენტს. გრ. იგნატიევმა ამასთანავე საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს მიანიჭა ამ საქმისთვის საჭირო ინიციატივა.

გზათა მინისტრმა აცნობა რკინისგზების უფროსებს, რომ დღეიდან ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით აკრძალულია რკინისგზის ბუფეტებში ყოველგვარი მაგარი სასმელით, მათ შორის ღვინითა და ლუდით, ვაჭრობა. გადაწყვეტილია აკრძალონ მაგარი სასმელით ვაჭრობა რესტორან-ვაგონებში და რკინის გზის ახლო მდებარე დუქნებშიდაც.

**პეტროგრადი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა დროებითი წესები რკინისგზაზე მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ. ჯამაგირი მოემატებათ 20—70 პროც. თვიური ჯამაგირის მიხედვით მოსამსახურეებს, ხელოსნებს, მუშებს და მათ ოჯახებს კავკასიაში. ეს წესები შემოღებულ იქნება გამოცხადების შემდეგ, დანარჩენ ადგილებში კი—1914 წლის პირველ დეკემბრიდან.

# ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ.

„სამთა შეთანხმებამ“, როგორც სჩანს, ლოთობასთან ბრძოლა დღეიზათ გაიხადა; ამის ინიციატივა კი ეკუთვნის რუსეთს. მას მიყვა საფრანგეთი, საფრანგეთს—ინგლისი, სადაც ახლა ლოთობის საწინააღმდეგო კანონ-პროექტის სასარგებლოთ დიდი აგიტაციაა გამართული.

ამ მხრით რომ ინგლისი რუსეთს შევადაროთ საგულისხმო განსხვავებას დავინახავთ. ეს საქმე რუსეთმა ხელის ერთი გაქნევით მოიყვანა სისრულეში მაშინ, როდესაც პარლამენტარულ ინგლისში დღემდეც ვერ მოუგვარებიათ იგი.

რუსეთში ხელმწიფემ ბრძანა: „დაე გამოფხიზლდეს“ რუსეთიო და „გამოფხიზლდა“ ის.

„...გამოფხიზლებული რუსეთი“, შე[ძ]ლებს ძლიერი მტრის დამარცხებას“-ო; სწერდენ ყველა ჯურისა და მიმართულების რუსული გაზეთები.

ბრძანებისამებრ მთელ იმპერიაში ღვინის ვაჭრობა შეწყდა და კარგა ხანს არავინ გამოჩენილა მისი მოსარჩლე; მხოლოთ ნახევარი წლის შემდეგ გამოჩნდენ „დაინტერესებული პირები“, რომელთაც გაბედეს და მთავრობას „შესჩივლეს“ შუამდგომლობა ითხოვეს, რომ მოიღონ მათზე მოწყალება და ნება დართონ ყურძნის ღვინის ვაჭრობისა მაინც, ვინაიდან ყურძნის ღვინო ლოთობის მოსპობას ხელს უწყობსო.

ამ საკითხმა რუსეთის „მეცნიერებიც“ აალაპარაკა: გაიმართა კამათი და ყურძნის ღვინის მოწინააღმდეგე ბევრი აღმოჩნდა; მაგრამ მეცნიერების აზრს იმდენათ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ქონდა, რამდენათ ჩრდილო-აღმოსავლეთის გუბერნიების მცხოვრებთა თხოვნას, რომელთაც არაყულის გარდა სხვა დამათრობელი სასმელი არ გააჩნდათ და ღვინოს კი ჯერ-ჯერობით ვერ შეჩვევიან. აი ამათ ღვინის ვაჭრობა მავნებლათ ცნეს და უმაღლეს მთავრობას თხოვნით მიმართეს, არ მიეცა ნება იმპერიაში ვისმესთვის ღვინის ვაჭვაჭრობისა. რუსეთის მთავრობაც მართლაც ასე მოიქცა და დუქნებში ღვინის ვაჭრობა „распивочно“ ომის დამთავრებამდი აღკრძალულათ გამოაცხადა. ამით მთელი იმპერიის ღვინის ვაჭრებს, მევენახეებს და ლუდხანების პატრონებს დიდი ზარალი მოუვიდათ, მაგრამ დღემდე მათ საშუალება ვერ გამოუნახავთ, რომ თავისი ინტერესი დაიცვან და ეკონომიური განადგურებისაგან თავი იხსნან.

აქ მათთვის გარდა უკანონო გზისა—ჩუმათ, საიდუმლოთ ღვინის ვაჭრობისა, არაფერი სჩანს: მათი თხოვნა შუდარა დღემდე უშედეგოთ დარჩა და დარჩება კიდეც ომის გათავებამდე მაინც.

სულ სხვაა ინგლისში, ამ კანონიერების და ყოველგვარ „თავისუფლების“ ქვეყანაში. აქ არყის მოვაჭრეებიც კი ხმას იმაღლებენ და მთავრობისგან სასტიკათ მოითხოვენ მათი ინტერესებისადმი ყურადღებას.

სწორეთ ამ გარემოებას მიეწერება, თუ ინგლისში დღესაც არაა კანონით აღკრძალული მაგარი სასმელების ვაჭრობა.

თუმცა სამხედრო მინისტრი ლორდი კიტჩინერი, ლოიდ-ჯორჯი და თვითონ მეფე გეორგი მეხუთე კარგა ხანია დარწმუნდენ, რომ ინგლისის ჯარისთვის საჭირო სამხედრო მასალის დროზე დამზადება დიდათ დაბრკოლებულია ლოთობით, მარა მის წინააღმდეგ დღემდე ისინი ქადაგებით, კეთილი რჩევით და დარიგებით ან საკუთარი პირადი მაგალითით თუ გამოდიან, თორემ სხვაფრივ ჯერ კიდევ ვერაფერი გაუწყვიათ.

ლოიდ-ჯორჯი ტრედ-იუნიონების წარმომადგენლებს ურჩევდა ომის დროს მაინც გაფიცვის უფლებაზე ხელი აეღოთ და „მუშათა უმცირესობის“ ლოთობას ყოველი ღონით შებრძოლებოდენ, რომ წარმოება არ შეფერხებულიყო. მეფემ განაცხადა, რომ არც თვითონ და არც მისი სასახლე ამიერიდან მაგარ სასმელებს აღარ იხმარებენ ვინაიდან მათი ხმარება მას დამღუპველათ მიაჩნია; ამასვე ურჩევს იგი თავის ქვეშევრდომთ. მეფის მაგალითს კიტჩინერმაც მიბაძა და იმანაც გამოაცხადა, რომ მაგარ სასმელების ხმარებაზე ისიც ხელს იღებს. ამ სახით მთავრობამ მოინდომა პირადი მაგალითით და რჩევით „მსმელები მოეყვანა“ და არაყის ვაჭრობა შეეჩერებია; მაგრამ ამაოთ.

მაგრამ სასმელების კანონით აღკრძალვა გემთა მშენებელ ფედერაციის დეპუტაციამაც მოითხოვა, მწარმოებელთა დეპუტაცია უმტკიცებდა ლოიდ-ჯორჯს რომ წარმოებაში უნაყოფოთ დაკარგული დროის 80% ლოთობას მიეწერებაო. ლოიდ-ჯორჯი დაეთანხმა მათ და ის აზრი გამოსთქვა, რომ ლოთობის წინააღმდეგ საჭიროა უსასტიკესი ზომები მივიღოთო.

„ჩვენ ვებრძვით—ამბობდა ის—გერმანიას, ავსტრიას და ლოთობას; ყველა ამ მტერთაგან უძლიერესი მტერი—ლოთობაა“. თუმცა ასე მაღალი ფარდებიდან ლაპარაკობდა მინისტრი, მარა მან თავის სიტყვაში პრაქტიკული ზომები ლოთობის წინააღმდეგ მაინც ვერ დაასახელა.

რატომ?

იმიტომ, რომ ინგლისში ჩვეულებრივ დროს ასეთი ზომების შემოღება დიდ წინააღმდეგობას იწვევს დაინტერესებულ წრეების მხრივ და მათი დამცველი კონსერვატიულ პარტიების მხრითაც. ყველა ამას მთავრობა ანგარიშს უწევს, როგორც ოპოზიციის და მით უფრო დღეს,—ომიანობის დროს.

**დ—ელი.**

(დასასრული ხვალ).

# სამგლოვიარო დეპეშები

**ნიკო ლომოურის გადაცვალების გამო ბაქოდან.**

საქართველოს გამოჩენებული ბელეტრისტის, თავის ხალხის მასწავლებლის, საუკეთესო ახალგაზდობის აღმზრდელის ლომოურის დაკარგვით, ღრმად შეწუხებული მუსულმანთა განმანათლებელი საზოგადოება „ნიდჟათი“ უცხადებს კეთილშობილ ქართველებს ღრმა თანაგრძნობას. ანუგეშოსცა დიდმა ალლაჰმა ქართველი ერი თავის დიადი შვილების დაკარგვის გამო.

თავჯდომარის მაგიერი **გადჟი ბაბაბეკოვი.**

— —

წინასწარმეტყველური სიტყვები საქართველოს საუკეთესო შვილისა აღსრულდა. ქართველებმა დაკარგეს ხალხის აღმზრდელი მამა და ქალის სულის მცოდნე ლომოური, მაგრამ ის არ მომკვდარა: ის მუდამ იცოცხლებს ყოველი ქართველ ქალის გულში. ბაქოს მუსულმან ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება მუსულმან ქალთა სახელით გულითად თანაგრძნობას უცხადებს თავის ქართველ—დებს ამ მწუხარებისა გამო.

თავჯდომარის მაგიერ **გადჟი ბაბაბეკოვისა.**

— —

მწარედ ვგლოვობ ჭეშმარიტი მასწავლებლის, უსათნოესი ადამიანის, ტკბილი ნიკოს გადაცვალებას.

მისი ნამოწაფარი **ს. მჭედლიძე.**

# ახალი ამბავი.

ხვალინდელ ჩვენ სურათებიან დამატებაში დასტამბული იქნება სურათები: ჯარისკაცი ბერიშვილი; შტ. კაპ. კონსტანტინე ბეკოს ძე ადანაია, მისი ძმა უნტერაფიცერი გრიგოლ ბეკოს ძე ადანაია; უნტერაფიცერი ბართლომე ივანეს ძე მოსეშვილი; ჯარისკაცი ევგენიოს ლაზარეს ძე მიქაძე; „ესკიზი აკაკის ძეგლისა,“ ახალგაზდა მხატვრის გრიგოლ მე[ს]ხისა. მოთხრობა სამ ყ ფიანის „სოლდათის დედა“ (დასასრული).

„სამშობლოს“ რედაქციის, ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქუთ. განყოფილების გამგეობისა და ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციის თაოსნობით, კვირას, 26 აპრილს, დილის 12 საათზე, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლათ გადაცვალებულის ჩვენი დაუვიწყარი ბელეტრისტის ნიკო ლომოურის სულის მოსახსენებლათ.

✦ განსვენებულ ნიკო ლომოურის დასაფლავებაზე დასასწრებლათ გორში მიდიან ქუთაისის ქართული გიმნაზიიდან სერგო რობაქიძე, წერაკითხვის საზოგადოებიდან პეტრე ყიფიანი და გაზეთის „სამშობლოს“ რედაქციიდან ია ეკალაძე.

✦ ქუთაისის ქალაქის საბჭოს 9 აპრილის დადგენილების თანახმათ: შეშიანი, თივიანი და ჩალიანი ურმების დაყენება შეიძლება თფილისის ქუჩის განაპირას, ებრაელთა და კათოლიკეთა სასაფლაოთა შორის. ამასთანავე ქალაქის გამგეობა სთხოვს ადგილობრივ პოლიციას, მოახდინოს ამის შესახები საჭირო განკარგულება.

✦ თელავის მაზრაში, საცხენისის ორკლასიან სასწავლებელში წელს ზაფხულში თფილისის სახალხო სკოლების დირექცია გამართავს სასოფლო-სამეურნეო კურსებს სახალხო მასწავლებლებთათვის.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა დაათვალიერა აჭარის პირველ დაწყებითი სკოლები. მზრუნველი ხალხს დაპირებია მომავალ ეკენისთვიდან სახელმწიფო ხარჯით რამდენიმე სკოლის გახსნას.

✦ **ბავშის გაუპატიურება.** ოცდა ერთ აპრილს, სოფ. როხში მცხოვრებ 18—19 წლის გლეხს პავლე მაქსიმეს ძე ცაგარეიშვილს გაუპატიურებია ექვსი წლის ქალი მარიამ გერასიმეს ასული კვიმსაძე; ცაგარეიშვილი ნოქარი ყოფილა კვიმსაძისა; ბრალდებული დანაშაულში გამოტყდა; ის ქუთაისის ციხეში ჩასვეს.

✦ **ჩამოხრჩობა,** 16 აპრილს სოფ. ნამახვანში, თავის სახლში, თავი ჩამოიხრჩო, მელიტონ ეფრემიძის ცოლმა,—ანასტასია მიხეილის ასულმა; თავის ჩამოხრჩობის მიზეზი მშობიარობის გამო გამოწვეული მძიმე ავათმყოფობა ყოფილა.

✦ თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზია ბეჭდავს ქ. შ. წ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტამბაში ბ-ნ ს. რ. გორგაძის მიერ შედგენილ კაზმულსიტყვიერების ქართულ ქრისტომატიას: „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“.

ამ ქრისტომატიის დაბეჭდვა რომ დასრულდება, დაიბეჭდება ამავე ავტორის მიერ შედგენილი მეორე ნაწილი ქართული ქრისტომატიისა: „ჩვენი ახილი მწერლობა“,

✦ ქუთაისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა და სიმწიფის მოწმობა მიიღო 50 ყმაწვილმა.

აი მათი გვარები:

რელიგიონი გენრიხ, (ოქროს მედალი) კვიცარიძე შიო პოლიკარპეს ძე (ვერცხლის მედალი უდღემოლ), ბურჯანაძე ივანე (ვერცხლის მედალი), რევია ლევანტი (ვერცხლის მედალი), სუდაკოვი ვლადიმერ (ვერცხლის მედალი), ქუთათელაძე კორნელი (ვერცხლის მედალი), ხაზარაძე ვლადიმერ, ხაზარაძე ანტონ, დათეშიძე ივანე, ბექაურიშვილი სილვესტრი, ბარათაშვილი სიმონ, იმნაიშვილი ნიკოლოზ, შელია ვლადიმერ, ჭანიშვილი ალექსანდრე, იოსელიანი კირილე, ცაქირია კალისტატე, ლორთქიფანიძე ნიკოლოზ, ბახტაძე ამბროსი, ბახტაძე ვარლამ, ბახტაძე გიორგი, ხუბუტია ალექსანდრე, კინწურაშვილი შალვა, პაპავა ალექსანდრე, ზხვარცაბაია კონსტანტინე, გარდაფხაძე გრიგოლ, ლეჟავა კალინიკე, კშონზერი სამუელ (ვერცხლის მედალი), ყორღანოვი კონსტანტინე, გონგაძე ნიკოლოზ, ამაშუყელი დავით, ვერულაშვილი სერგო, რეხვიაშვილი ანდრია, ანდრუშევსკი ანტონ, ხარაზოვი ფელიქსი. ყაუხჩიშვილი იოსებ, მაჭავარიანი სიმონ, ლეჟავა კალინიკე, მუსაევი ნავრუზ, კადიმოვი მამედ, შუბლაძე ვალერიან, ფხაკაძე ალექსანდრე, ქუთათელაძე გრიგოლ, ოდიშარია კალინიკე, კვერნაძე ნოე, გიორგობიანი სიმონ, სალაძე სიმონ, ხორავა აკაკი, კვალიაშვილი ალექსანდრე, გურგენიძე ვასილ და კირიჩენკო გიორგი.

ამათ გარდა ექსტერნიბათ ეგზამენი მი[ე]ცა და მოწმობა მიიღეს [illegible] კოკუა კირილე, ნაჭყეიშვილი კონსტანტინე, ბაღუნაშვილი მიხეილ, ჩ ხლაძე სოლომონ, ეკიმოვი ვლადიმერ და ფენდრიკოვი ვალენტინი.

### თეატრი.

დღეს, ქუთაისის თეატრში ახალგაზდა და ნიჭიერი მსახიობის ალ. ყალაბეგიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება პირველად ქუთაისის სცენაზე ახალი პიესა გიორგი ერისთავისა [illegible] ბეგი“. პიესა ისტორიულია და ლექსებულია. მეთორმეტე საუკუნის ხანა. პიესაში მონაწილეობას იღებს მთელი დასი. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

ბ-ნი ყალაბეგიშვილი ჩვენი სცენისათვის თვალსაჩინო მსახიობია. მას ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს და, იმედია, მისი დღესასწაული არ დარჩება საზოგადოების მიერ აღუნიშნავი.

—

ხვალ წარმოდგენილი იქნება დაკლებულ ფასებში „დაძირული ზარი“.—გენრიხის როლს გ. არადელი-იმნაძე[?] ითამაშებს.

### თფილისი.

— სალიტერატურო საღამო ვაჟა ფშაველას პატივსაცემლად. როგორც ვწერდით, ვაჟა ფშაველას თაყვანის მცემელთა ერთმა ჯგუფმა სალიტერატურო დილის გამართვა გადასწყვიტა საყვარელ პოეტის პატივსაცემლად. დაწვრილებით პროგრამის შესამუშავებლად 22 აპრილს საგანგებო თათბირი მოხდა. თათბირმა სასურველად სცნო, 30 აპრილის ნაცვლად 23 მაისს გაიმართოს სალიტერატურო საღამო ფართო პროგრამით, რათა დიდის პოეტის პატივისცემა უფრო ღირსეულად იქნეს აღნიშნული. საღამო გაიმართება სახაზინო თეატრში.

— ახალი გაზეთი. თფ. მასწავლებელ ქალთა ერთს ჯგუფს განუზრახავს გამოსცეს თფილისში ქართული გაზეთი, სახელად „ქალის უფლება“. გაზეთი კვირაში სამჯერ გამოვა.

— ანდერძისა და პანაშვიდის საგალობლები. მეშ-სკე ია კარგარეთელმა საქართველოს ეგზარხოსს წარუდგინა პარტიტურა ანდერძისა და პანაშვიდების საგალობლებისა და სთხოვა, დაბეჭდოს ცალკე და აღებული ფული რაიმე საქველმოქმედო საქმეს მოახმაროს. ეგზარხოსმა თხოვნა ყურადღებით მოისმინა და გორის ეპისკოპოსს ანტონის დაავალა, გამონახოს წყარო ამ საგალობლების დასაბეჭდათ.

— ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების უკანასკნელმა კრებამ საზოგადოების საბჭოს დაავალა, შეიმუშაოს ძველ ქართულ ხალხურ ადათ-ჩვეულებათა შესწავლის გეგმა და ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო თანხაც გამონახოს.

# შანტაჟისტების „გულკეთილობა“.

თუ მართალია*), აი, როგორ აგვიწერს „ტ. ლ.“ თანამშრომელი ბ-ნი სტეფანე ოცხელის შანტაჟისტებისაგან დატყვევების ამბავს:

„ავაზაკებმა შემიპყრეს ს. ჭომაში, მტაცეს ხელი და ჩქარა ნაბიჯით, მიხვეულ-მოხვეული ბილიკით გამიტაცეს. მატარეს რაჭის გზისაკენ. დილამ გვისწრო ჩემთვის უცნობ ტყეში. იქვე გავატარეთ დღემდისამდი. დაღამდა თუ არა განვაგრძეთ გზა. ჩემი მომტაცებლები იყო ორი ავაზაკი: შავანაძე და მაჭავარიანი. პირველ დღეს თითქმის სულ არაფერი გვიჭამია. ავაზაკებს ეშინოდათ სოფელში გასვლა და საჭმლის შოვნა. მეორე დღეს ჩვენ შევედით ჭადრისა და წიფლის უღრან ტყეში. არ გვქონდა თავშესაფარი. სწვიმდა, სულ გავიწუწეთ. საზაფხულო პალტო მეცვა, სიცივისაგან ვკანკალებდი. მე ფული თან საკმაოთ მქონდა, შევაძლიე ჩემს „მცველებს“. ვთხოვე ჩასულიყვნენ ერთ-ერთ სოფელში და ეყიდათ საჭმელი. მაგრამ არ ინებეს ჩემგან ფული, არც „სესხათ“ მიიღეს.

— მიშოვნეთ ერთი ბოთლი რძე, ვთხოვე ავაზაკებს და მიეთ ნახევრის თეთრი ფული შევთავაზე, ცოტათი მოლბნენ. ვეცდებითო მითხრეს. წავიდა ერთი მათგანი, სამი საათის შემდეგ დაბრუნდა და მითხრა:

—სამწუხაროთ რძე ვერ ვიშოვნე, მაგრამ საჭმელი კი, ამის შემდეგ ყოველ დღე მოგვქონდეთ ცხელი მჭადი, ყველი და ზოგჯერ ქათამიც. მესამე დღეს შავანაძე მოგვშორდა. მისმა ძმობილმა მითხრა, რომ შავანაძე ჩემ გამოსახსნელ ფულის მისაღებათ წავიდაო. ხუთი დღე ველოდეთ... მაჭავარიანი შეწუხდა. სამწუხაროა, თუ პოლიციას ჩაუვარდა ხელში. ის თუ დაიჭირეს ყველას საქმე ცუდათ წავა. სანამ შავანაძე მოვიდოდა მე და მაჭავარიანი მარტო ვრჩებოდით. იმდენზე გათამამდა, რომ სულაც არ ფიქრობდა, მე თუ გავიქცეოდი. არც ცდებოდა, აბა სად უნდა წავსულიყავ, ტყიდან გამოსავალ გზასაც ვერ ვიპოვიდი. დილაობით მარტოს მტოვებდა და თითონ საჭმელის მოსატანათ მიდიოდა. მოვიდოდა, ვჭამდით საჭმელს. ბევრ...

*) ჩვენ ვწერთ „თუ მართალიაო“ იმიტომ, რომ როცა ბ-ნი ოცხელი დაბრუნდა, გავუგზავნეთ კაცი დაწვრილებითი ამბის შესატყობათ მაგრამ არაფერი უთქვამს.. **რედ.**

დანის თოფიდან პატრონას ამოიღებდა, არხეინათ მიწვებოდა და ხვრინვას ამოუშვებდა. მისი ხვრინვის გამკონწეს გული მეკუმშებოდა, მიკვირდა მისი თავხედობა. ბევრჯერ ვიფიქრე ამეღო ქვა და მეთხლიშა თავში და მომეკლა, მაგრამ ვაი თუ ვერ მომეკლა, ქვა ამეცდინა, მაშინ ხომ კაი დღე არ დამადგებოდა. მეექვსე დღეს მოვიდა მეავანაძე და მხიარულად გამომიცხადა „მანიფესტი", თავისუფალი ხარო.

სალამოს შვიდ საათზე შენ გაგიყვანთ შარა გზაზე, წადი მშვიდობით, მაგრამ გაფრთხილდი, მეორეთ აღარ ჩავარდე ასეთ დღეში... ოცდა ათი თუ ორმოცი ვერსტი ვიარეთ. ავაზაკებმა თითქმის ქალაქის საზღვრამდი მომაცილეს და აქ თავაზიანათ გამომეთხოვენ.

— ბოდიშს ვიხდით, უკაცრავათ ვართ, მაგრამ რას იქ ჩვენი ხელობა ეს არის.

მომშორდენ, თავისუფლება ვიგრძენ, შარა გზით გავწიე.

— უკაცრავათ მოითმინეთო — დამეწია მაჭავარიანი და მითხრა.

— რა იყო, რაღა გნებავთ კიდევ ჩემგან?

— ინებეთ აი თქვენი მანეთ ნახევარი, რომელიც თქვენგან ვისესხეთ რძის საყიდლათ. მიიღეთ გეთაყვან, ჩვენ ზედმეტის აღება არ გვიყვარს...

---

**ქართვ. შორის წერა-კითხ. საზ. ქუთ განყ. 3 მაისს განზრახულ სეირნობისათვის შემოსწირეს:**

ბ. პავლე ჩხაიძემ, ფარნა გაბუნიამ და პეტრე ფილიპოვმა: 1 შალის სპარსული საბანი, 6 ხილის სალფეთქი, 1 ჩითის საბლუზე, 1 კოლოფი კბილის საფერი ფხვნილი, 1 კოლოფი პუდრი, 1 შუშა ოდეკოლონი; ლევი ჩიკვაშვილმა — 8 არშინი საბლუზე ჩითი და $5^1/_2$ კუმაჩი; აბრამ თავდიდიშვილმა — 3 საბლუზე ჩითი; მოშე თავდიდიშვილმა — 5 მან. ფულათ; კვარაცხელიამ და ბალანჩივაძემ — მაუდზე მოქარგული პორთფელი, სტოლზე გადასაფარებელი მოქარგული ზოლი და მაუდისვე მოქარგული შანდლის დასადგამი; არონ ელიგულაშვილმა — 20 არშინი ჩითი, ტილოს სტოლისაფარი, ბავშის პიკის საბანი და 5 არშ. კუმაჩი; დანიელ ბუზიაშვილმა — 3 საბლუზე ჩითი; კილასონიამ და კაპანაძემ — 7 საბლუზე ჩითი, შალი და ბუმაზეა; ერმალოზ ასათიანმა — რედიკული, ბავშის კალათი და სათუთუნე. ძმ. ვოლოხებმა — 1 ფრაჟის საშაქრე და 1 შაქრის საკეცე; ჩხეიძემ და მომფორიამ — ჩითის 5 საბლუზე; რომანოზ მახარაძემ — 3 საბლუზე ჩითი; თადეოზ ციკორიძემ — 5 საბლუზე ჩითი; ძმ. ეფრაიმ საბლუზე ჩითი, 3 ნაჭერი და ბავშის პალტო; ძმ. იაკობიშვილებმა — საკაბე ჩითი, 2 სარუბაშკე ჩითი, 2 პატარა საბანი და კიდევ საკაბე ჩითი: მოშე ჩიკვაშვილმა — ორი ჯაყვა, 1 დუჟინი ცხვირსახოცი 1 მაკრატელი, 1 ბატისტის საყელო და 6 ნაჭერი საპონი; გრიგოლ ამირაღოვმა — 3 რედიკული და საშტენი.

(შემდეგი იქნება).

---

# მოცვის ჩაი.

(საზოგადოების საყურადღებოთ.)

ამ ჟამად დიდი მოთხოვნილება შეიქნა მოცვის ჩაისა ქუთაისში, სადაც რუსეთის სხვადასხვა ფირმებისთვის ყიდულობენ ადგილობრივი ქართველი ებრაელები და პატარა ამანათებით უგზავნიან ფოშტით, რადგანაც რკინის გზა ამ ჟამათ გასაგზავნ საქონელს არ ღებულობს.

დღემდის, ე. ი. 25 მარტიდან 23 აპრილამდე, დაახლოვებითი ცნობების შეკრებით, სხვადასხვა ფირმისთვის უყიდიათ ოცდახუთმეტი ათასი ფუთი. მყიდველები ფუთში იძლევიან ხუთიდან ათ მანეთამდე. (ხარისხის მიხედვით)

საშუალო რიცხვით ფუთზე რომ 7 მ ვიანგარიშოთ, სულ უყიდიათ 245 ათასი მანეთისა.

ეს ჩაი შემოუტანიათ მარტო ქუთაისის მაზრიდან და სამტრედიის ნაწილიდან. დანარჩენი მაზრები კი, სადაც ბევრად უკეთესი ღირსების ჩაი არის, მაგალითად: რაჭა-ლეჩხუმი და გურია, ჯერ ხელუხლებელია.

ამდაგვარად, სულ ცოტა ხნის განმავლობაში ჩვენს სოფლებს იმ მცენარიდან, რომელიც აქამდის თითქმის არაფერს სარგებლობას არ აძლევდა, უშოვნიათ 250 ათას მანეთამდე.

რამდენათაც შევიტყვეთ ამ გაზაფხულზე, ჩაის დიდი მოთხოვნილება არის და რამდენიც უნდა მოიტანონ, უეჭველათ გაიყიდება, ოღონდ უპირატესობა ეძლევა იმ ჩაის, რომელიც მოუკრეფიათ მაშინ, როდესაც მცენარეს ფოთოლს ნახევრათა შლის ხოლმე.

კარგი იქნება, რომ ხალხის გულშემატკივრებმა უჩვენონ ჩაის ბაზარი ლეჩხუმელებსა და გურულებსაც, რომ ამ გაჭირვების დროს თითო ოროლა მანეთი მაინც იშოვონ.

ს. წ.

---

# სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ!

წარსული წლის გაზეთ „შრომის" 38-ე №-ში მოთავსებული იყო ბ. ლავ. ჩიმაკაძის მიერ შედგენილი პროგრამა სამშობლოს შესასწავლი მასალების შესაკრებათ, რომელი პროგრამაც შემუშავებული იყო წარსულ ზაფხულზე სახალხო მასწავლებელთა ხონის მეთოდიკურ კურსებზე ყოფნის დროს. დიდი მადლობის ღირსია ბ. ლავ. ჩიმაკაძე, რომელმაც ნაკისრი საქმე პირნათლათ შეასრულა. თავის ნაშრომში ყველაფერი დაწვრილებით და მკაფიოთ ასწერა, რაც ძალიან აადვილებს საქმის შესრულებას. მხოლოდ მინდა პროგრამაში ცოტა დამატება შევიტანო, რაც ჩემის მხრით სასურველათ მიმაჩნია.

შესაძლებელია, პროგრამის ეს შევსება სხვა ამხანაგებმაც დაინახონ საჭიროთ და აგრეთვე თვით ავტორმაც, ამიტომ მივმართავ ამხანაგებს თავისი აზრი გვამცნონ პრესის საშუალებით. შეგვატყობინონ ისიც, თუ რაიმე ზედმეტათ მიაჩნიათ პროგრამაში, რათა ზედმეტი შრომა თავიდან ავიცილოთ.

ჩემის აზრით, პროგრამის მერვე მუხლში უნდა ჩაემატოს: დამოკიდებულება მღვდელსა და მრევლს შორის. მეექვსე ან მეთერთმეტე მუხლში: სტუმართმოყვარეობა და ქველმოქმედება. მეექვსეშივე: წოდებრივი შეხედულება და მისი გავლენა. მ. ცამეტეში — (სიტყვიერება): პროვინციალიზმი, სინონიმები და ომონიმები, ზოგიერთ ადგილების ისტორია-ფილოლოგიისათვის გამოსადეგი სახელების აღნიშვნა, მაგალ. ნაომარი, მეფის წყარო და სხვა...

ამით სახალხო მასწავლებელთა ცხოვრებაში ახალი ხანა დგება: სამშობლოს შესწავლა და კავშირის დაარსება. ამ ორს დიდ საქმეს ასრულებენ მასწავლებლები (თუმცა პრაქტიკულათ ჯერ არაფერი გაკეთებულა) და ორივე დიდ მნიშვნელოვანი საქმეა. მაგრამ უკანასკნელ საგანზე კაი ხანია სიჩუმე ჩამოვარდა.

საჭიროა ვიცოდეთ, ნაკისრი მოვალეობის შესრულებაზე ზრუნვა დავიწყებას ხომ არ მიეცა!

მასწ. დავ. ქარსელაძე.

P. S. ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ. დ. ქ.

---

# მეპურეთა ამხანაგობის „იმედის" ანგარიშისა გამო.

(იხ. „სამშობლოს" 57 და 58 №-ში.)

როგორც ბ. პურადაშვილი ამბობს, მეც სრულიად საპოლემიკოთ არ მცალია და არც მინდა ჯიბრით ვისმე სიცრუე დავწამო, მაგრამ ამ კოოპერატიულ დაწესებულებათა ხანაში აუცილებელი საჭიროა მეთაურთა და თუ გინდ წევრთაც უმოქმედობისა და საზოგადოების მიერ დაწყებული საქმის დაშლის მიზეზები სისწორით აღინიშნოს გაზეთის ფურცლებზე, რადგან ეს მომავალ მსგავსი კოოპერაციების წყლულთა სამკურნალოდ მიმაჩნია.

ბ. პურადაშვილი ბრძანებს: „ჩემის აზრით, ფურნემ (იმედმა) დიდი სამსახური გაუწია ქუთაისის საზოგადოებას. მისი ანგარიშით ქუთაისის მცხოვრებთ ამ ფურნით 32,000 მანეთზე მეტი მოგება უნახავს" და „თუ ეს ანგარიში საზოგადოებას გაზვიადებულათ მოეჩვენება, მე კიდევ დავუთმობ და ნახევარზე შევჩერდები. მკონი, რომ 16000 მან. სარგებლობაზე ვერაფერს ვერც მამა რაჟდენი მეტყვის და ვერც სხვაო".

ეს ანგარიში მოყავს მით, რომ ჩვენი გამოსვლით „მეფურნეებს ნიხრი დავაკლებინეთო". ბ. პურადაშვილი ამას ყველაფერს გულწრფელათ ამბობს, რაშიაც ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ, ეს მხოლოდ მისი მოსაზრებით. მე კი და, ვგონებ, სხვაც ამაზე ვერ დავეთანხმებით. რატომ? მიტომ, რომ მეპურეთა ამხანაგობა იმ მიზნით კი არ შემდგარა, რომ მეფურნეებს ნიხრი დავაკლებინოთო, ამით საზოგადოებას თითო კაპეიკი შეეძინება და ჩვენი რამდენიმე ათასი მანეთი თანხა სულ კაპეიკამდი ამას უმსხვერპლოთო! კონკურენციის გაწევა ცალმხრივ კოოპერაციის მხრით ძალიან კარგი და საჭიროა, თუ ამავე დროს ამხანაგობაც ცხებულობს, თორემ მეფურნეებს ნიხრი დააკლებინო და ამხანაგობა გააკოტრო, ამას რა მეთაურობა ქვია!

ბოლოს ბ. პურადაშვილი ასე დაასკვნის: „ამხანაგობის წევრებს ეგონათ, ლორთქიფანიძე, პურადაშვილი და სხ. მეფურნეობას გასწევდენ და თითონ კი პირადათ თავიანთ სამსახურს და საქმეებს არ ულალატებენ: მღვდელი ეკლესიაში, მასწავლებელი სასწავლებელში, ხელოსანი და მოხელე — სახელოსნოში და სხ. და სხ. ხოლო წლის დამლევს ანგარიშს მისცემდენ და მოგებას გაინაწილებდენ. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ და ნურას უკაცრავათ, თუ არჩეული პირები გლახა მეფურნეები გამოდგენ". (ხომ არ ხუმრობთ! ბოდიში მართლა გმართებთ, რომ ვერ გამოდექით და საქმეს ვერ უთავეთ).

ბატონო! ეს გასაკვირი არ არის. გაიყოფდენ მოგებას თუ არა, ეს სულ სხვა საქმეა და ამხანაგობა უთუოდ მოგებას ფიქრობდა; მოთავეებიც ამას ამბობდენ, თორემ, რომ ეთქვათ: ფულები მოიტანეთ, მაგრამ არც მოგება გექნებათ და თავნსაც დავკარგავთო, ამაზე ვინ ჰკუათა მყოფი დაგეთანხმებოდათ. მართალს ბრძანებთ ბ. ივანე! მეფურნეებათ არც ერთი არ ივარგებდენ აქ ჩამოთვლილ პირები, მაგრამ რაკი ასეა თუ ისე მეთავეობა იკისრებს, არ უნდა ესუსტებიათ საზოგადო საქმისათვის. ორ-სამჯერ თავის მიყრა და მშრალი განკარგულების დადგენა, რა საკვირველია საქმეს ვერ უშველიდა; განკარგულებას ასრულება უნდა მიყვეს. „პური არ გაიყიდა", — დაუჯერებელი ამბავია. ბრძანებენ: სამი დუქანი ვიქირავეთო; ადესიდან ოსტატი გამოვიწერეთო, მერე რა ოსტატი? პური ვერ გამოაცხო და ცომი გამოდგა! ამის მერმე ამხანაგებს აბრალებენ: პური არ იყიდესო. თქვე დალოცვილო, ერთი უბრალო მეფურნე თათარი დაგექირავებიათ, ჩვეულებრივ პურს გამოაცხობდა და ყველა იყიდიდა. სამი ფურნის მაგიერ ერთ ფურნეს ვიქირავებდით და მაშინვე წაგების გზას აღარ დაადგებოდით.

ჩვენ ვერც იმაზე ვეთანხმებით: „ორასი თუმანი, რომ კიდევ მოეცათ ამხანაგობას საქმე კარგათ წავიდოდაო". ვისაც წილდი წყალში ჩაუვარდება, ნაჯახს თან აღარ ჩააყოლებს.

ბ. ი. პურადაშვილს არ ახსოვს ალბათ, როცა ამბობს: ძირითადი თანხა 2000 მანეთი იყოო. არა ბ. ივანე, მე მაქვს თქვენი ხელმოწერილი კვიტანცია, რომელსაც უზის 606 №-რი, რადგან „პაი" ხუთი მანეთი ღირდა, ამ კვიტანციის ანგარიშით 3030 მან. იქნებოდა, მაგრამ ნუთუ მე უკანასკნელი ხელის მომწერი ვიქნებოდი? თუ არ გახსოვთ, ეს იმის ბრალია უთუოდ, რომ მას მერე კარგა დრო გავიდა.

ყოველ შემთხვევაში მე ჩემის მხრით მადლობელი ვარ ბ. ივანე თქვენი. თუმცა მშრალი, ზეპირი, მაგრამ ამხანაგობის თავგადასავალი მაინც გვიამბე. მსჯავრის დადება კი მარტო ჩემი საქმე არ არის.

ურიას უთქვამს: ღმერთმა ჩემს შვილს პირველათ აზარალოსო. ეს იმიტომ, რომ შემდეგ უფრო დაუკვირდება და აღარ წააგებსო.

აი ბატონებო რეცეპტიც. საქმე იმაში გახლავთ: დღევანდელი კოოპერატორები ძალიან უნდა გაუფრთხილდენ საზოგადოების ნდობას და მინდობილ საქმეს თუ ცოტათი უკან დახევა შეატყონ, თავის დროზე სტაცონ ხელი შემოსაბრუნებლათ, რომ გაკოტრება არ გამეორდეს...

მღვდ. რ. ხუნდაძე.

---

# დაბა-სოფელი.

**დ. ხობი** (ზუგდიდის მაზრა). დ. ხობი მდებარეობს რედუტკალის საბოქაულო განყოფილებაში, სენაკიდან ზუგდიდში მიმავალ სამხედრო გზის პირად. აქ არის კანცელარია ადგილობრივ ბოქაულის, ფოშტა-ტელეგრაფის განყოფილება, სოფლის საავათმყოფო და ნოჯიხევის საზოგადოების სასოფლო სასამართლო. დ. ხობის მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება ორმოც კომლს. არის დუქნები და სავაჭრო ბაზარიც.

დ. ხობის გარშემო არიან სოფლები: ხორგი, ქვალონი და ნოჯიხევი. ეს სოფლები ამ ორი წლის მოუსავლობის გამო შიმშილობით დიდ გაჭირვებას განიცდიან.

ორშაბათს, 30 მარტს, აქ დაინახავდით სამივე საზოგადოებიდან მოზღვავებულ მიწის მუშა ხალხს, რომელთა შორისაც შენიშნავდით მოხუცებულს, ქალებს და მცირეწლოვან ბავშვებსაც. გამვლელს, უეჭველია, გაუკვირდებოდა საქმის დღეს ამდენი ხალხის თავის მოყრა. დიაღ, სწორეთ გასაკვირია ამდენი ხალხის გაცდენა ამ დროს.

სალამომდი იყო დამშეული მუშა ხალხი, მოსული 10—15 ვერსის სიშორიდან, მომრიგებელ შუამავლის მოლოდინში. როგორც იყო ბ. შუამავალიც მოვიდა და გამოუცხადა ხალხს დაედგინათ განაჩენი, რათა მთავრობას დახმარება მიეცა. ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორი უსიამოვნება და აურ-ზაური გამოიწვია ხალხში ასეთმა უმსგავსო მოტყუილებამ. წარუდგენ მომრიგებელ შუამავალს საზოგადოებისაგან ამორჩეული პირები და მოახსენეს: „ისეთი უბედურება, როგორიც მათ შარშანდელ მოუსავლობის გამო დაატყდათ თავს, ჯერ არ ახსოვთ. მთავრობა გვპირდება დახმარებას, მაგრამ ჯერ ვერაფერსა ვხედავთ; მართალია, ყველაფერ საქმეს დამუშავება უნდა რიგზე და ზუგდიდში შარშან შემდგარ დამხმარე კომიტეტს, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით, დრო დასჭირდებოდა, მაგრამ, რადგანაც ამ კომიტეტმა დღემდი ვერაფერი გაგვიკეთა, არც ვერ დავამყარებთ მასზე იმედსაო. სენაკის მაზრაში უკვე დარიგდა ფული დამშეულთათვის და ჩვენ კი უმნიშვნელო ყრილობებით განაჩენების შედგენაში დროს გვაკარგვიებთო. თუ თქვენ ვერ გაარიგებდით ჩვენს საქმეს, ჩვენ თვითონ ვთხოვდით უფროს მთავრობას დახმარებასაო. დღეს ჩვენ თქვენგან წყალობას ველოდით, თქვენ კი ისეთ რასმე გვეუბნებით, რასაც მამასახლისების საშუალებით ადვილათ შესძლებდით და ამდენ ხალხს უმნიშვნელოდ რად დაგვაკარგვიე მუშაობის დღეო". (ყრილობაზე იქნებოდა სამივე სოფლიდან 2000 მეტი გლეხი).

მომრიგებელმა შუამავალმა უთხრა, რომ ისინი შიმშილის შესახებ არ იყვნენ დაბარებული, არც ფულები აქვს დასარიგებელი და გასწია ზუგდიდისაკენ. დარჩა ალხი იქვე და დაიშალა გვიან სალამოს, პირში ჩალა გამოვლებული, იმედ გაცრუებული.

მომრიგებელ შუამავალმა შოლტგაუერმა, თუ რა შინაარსის მოწერილობით დაავალა მამასახლისებს სამი საზოგადოების მცხოვრებთა ერთად შეყრა დ. ხობში, მე არ ვიცი, ის კი ნამდვილია, რომ ნოჯიხევის მამასახლისი აფრთხილებდა ხალხს, ყრილობას არ დაკლებოდა და ეუბნებოდა, ფულებს არიგებენ დამშეულებისთვისაო. ეს ახალი მამასახლისი ნოჯიხევისა არჩეულ იქნა შემთხვევით, მოუფიქრებლად და ხალხიც ვერ არის კმაყოფილი მისი არჩევისა. როცა ხალხის შეკრება დასჭირდება ხშირად ავრცელებს ხმას, ვითომ ნათხოვნ ფულს არიგებენ და არ დააკლდეთო.

სოფლად, ომიანობის გამო მოთხოვნილებამ ერთი ორად იმატა და ამ დროს მიწის მუშა გლეხი უმეტეს დროს მოშორებულია თავის საკუთარ სამუშაოს, უთავბოლო ყრილობამ კი მთლად გაუტეხა გული. საჭიროა ყურადღება მიექცეს, ვინაიდან ჯერ არს ყველა ამას, რომ სოფლელთა გაჭირვება წრეს არ გადასცილდეს. თუ საზოგადოების ყრილობაზე საზოგადოების საქმე იქნება გასარჩევი, ან გამოსაცხადებელი რამ, უნდაეცადონ სოფლის მოხელენი, რომ ყრილობა ხდებოდეს უქმე დღეს და არა წარა-მარა მუშაობის დროს. 30 მარტს სამი საზოგადოების ყრილობა დ. ხობში ორშაბათ დღეს შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, რომ არც მუშაობას მოსცდენოდა მუშა და არც მოტყუილება დასჭირებოდა ვისმე. რა საჭირო იყო ხორგელი ან ქვალონელი გლეხის ხობში მოწვევა, როცა შეიძლებოდა იმავე მამასახლისებს გამოეცხადებინათ ადგილობრივ, ან მომრიგებელი შუამავალი მისულიყო კვირას ან რომელიმე სხვა უქმე დღეს ადგილობრივ სოფლის სასამართლოში.

ნოჯიხეველებს დაურიგდებათ ახლო მომავალში სესხად აღებული 2461 მანეთი და 4 აბაზი. ეს ნაწილია გაჭირვებისთვის გამოანგარიშებულ ფულის და თუ დანარჩენიც არ დაურიგდა მცხოვრებთ დროზე, სოფლის გაჭირვებას საზღვარი არ ექნება. ასე უჭიროთ დანარჩენ დამშეულ სოფლებსაც, რომელთაც ეხლა მარტო თავის საკუთარ სარჩენ თავიდან, რაც ვერ აკმაყოფილებს გაჭირვებას.

გზის პირად მდებარე სოფლებს, მაგალითად, ქვალონს, ნოჯიხევს და სხ. მეტი შრომა და ხარჯი სჭირდება მოხელეებისთვის ცხენებისა და ურმების დაქირავებაში, აგრეთვე ჯარის კაცთა ბარგების გადაზიდვაში. ამის შესახებ მაზრის უფროსის განკარგულება იყო დახმარება აღმოეჩინათ სხვა შორეულ სოფლელებსაც. როგორც მახსოვს, კიდევაც დაადგინეს რედუტკალის განყოფილების სოფლებმა განაჩენები, დაეხმარონ გზის პირად მდებარე სოფლებს გასაჭირში ფულით, მაგრამ ჯერ არსაიდან არავითარი დახმარება არა ჩანს.

სასურველია უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სოფლელთა გაჭირვებას და თავის დროზე მოხმარდეს დაპირებული შემწეობა.

ბესარიონი.

---

# მოწოდება.

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოსაგან.**

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო უმორჩილესად სთხოვს განსვენებულის მგოსნის აკაკი როსტომის ძის წერეთლის ნათესავნაცნობებს და მისი ხსოვნის პატივისმცემელთ მოაწოდონ „საზოგადოებას" მუზეუმში დასაცველათ განსვენებულის მგოსნის ყოველგვარი მიწერ-მოწერა, მისი ნაქონი ნივთი, კერძო ალბომებში მოთავსებული მისი ლექსები, ან კერძო პირთათვის შედგენილი ეპიტაფიები (საფლავის ქვაზე წასაწერი), აგრეთვე ყოველგვარი ცნობა, რომელიც მგოსნის ბიოგრაფიის (ცხოვრების აღწერის) შესადგენათ გამოდგება და, დასასრულ, ვისაც მოეპოვება, ცნობები იმის შესახებ, თუ მგოსნის რომელი ნაწარმოები როდის და რა შემთხვევის გამო (ან რომელი პირის შესახებ) არის დაწერილი და სად არის დაბეჭდილი. ამ მასალას საბჭო დაიცავს საზოგადოების მუზეუმში აკაკის სახელობის მომავალი დარბაზისათვის, ხოლო მის ნაწილს გამოიყენებს ახლავე განსვენებულის მგოსნის თხზულებათა გამოცემისათვის.

ვსთხოვ სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ თავის გამოცემებში.

მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: Тифлисъ Грузинское Общество Исторіи и Этнографіи.

---

# მოწოდება

**მოსწავლე ამხანაგებისადმი.**

კარგა ხანია, რაც ბატონმა ჰაიდარბეგ-აბაშიძემ აღმოკვნესა აჭარლების შესახებ და ეს აღმოკვნესა არ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, — მან მტკიცე ნიადაგი მოიპოვა ქართველი ინტელიგენციის გულში. ყველამ ხელი გაუწოდა დასახმარებლათ ჩვენს მოძმე, დღეს აწიოკებულ აჭარლებს; ერთმანეთს ხმა მისცა დასავლეთისა და აღმოსავლეთის საქართველომ და შეუდგენ სავალდებულო აზრის განხორციელებას. მაგრამ თუ ამ განზრახვას ჯერ კიდევ სისრულეში მოყვანა არ ეღირსა, სცდილობენ მაინც, რომ განახორციელონ. მეც მრწამს, რომ განზრახვა განზრახვად არ დარჩება, იგი ნაყოფს გამოიღებს და მალამოს მოსცხებს ტყეთ გაჭრილ ქართველ მუსულმანობას. მაგრამ ამ საერთო განზრახვას არც ქართველი მოწაფეები უნდა ჩამორჩენ, ჩვენც — მოწაფეებს — გვაწევს ვალად ცოტაოდენი უნარი გამოვიჩინოთ.

დიახ, ქართველმა მოწაფეობამ ამ კრიტიკულ მომენტში გულ ხელ დაკრეფით არ უნდა შესცქეროს აჭარლების კვნესაწუხილს; დე, ყველამ გაიგოს, რომ ქართველი მომავალი თაობა ფიქრობს თავის ერისა და ქვეყნის მომავალზე.

მაშ, მეგობრებო, ვსცადოთ, სხვების წვლილს ჩვენი წვლილიც დაუმატოთ და მივაწოდოთ დაავადებულ აჭარლებს.

დე, ეს წვლილი იყოს სიმბოლო მტკიცე მეგობრობისა ქართველ მოწაფეთა და ძმით მოსილ აჭარლებს შორის.

მოწაფე ლადიკო.

---

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.